MES 9 20 0000618278

20/07/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 06.07.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:50 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი
12. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - სხდომის მდივანი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ნინო შიოშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი
5	თორნიკე ბაქაქური	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი
6	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირმა ინაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	რექტორის მრჩეველი	I
3	გიორგი ქვარცხავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი	I
4	ნინო ლომიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
5	აკაკი გუნცაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი		I

			აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი	
6	ნოე ხოზრევანიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	საინიციატივო ჯგუფის წევრი	I
7	დავით გუბელაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	
8	გიორგი ამილახვარი	შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტ	რექტორი	II
9	ნათია ვაჭარაძე	შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტ	ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი	II
10	ნანა ჯანაშია	შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტ	სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი	II
11	ირმა ნოზაძე	შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტ	ასოცირებული პროფესორი სამართლის ისტორიის და ფილოსოფიის მიმართულებით	II
12	ნელი მერაბიშვილი	შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტ	ასოცირებული პროფესორი	II
13	მირანდა გიორგაშვილი	შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტ	პროფესორი	II
14	სოფიო ყუბანეიშვილი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	იურიდიული და საქმისწარმოების სამსახური უფროსი	III
15	ნინო ალავიძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
16	თათული დოლიძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	III
17	თამარ მსხვილიძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	III
18	თეონა გრიგოლაშვილი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	საზოგადოებრივ მეცნიერაბათა ფაკულტეტის დეკანი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ლევან გოგოლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნიკოლოზ ბაგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ლილი ხეჩუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	თინათინ ფანცულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II

6	თინათინ გვაძაბია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო ბოგვერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ეკატერინე ქარდავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	გიორგი დგებუაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	რუსლან ბედიევი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუმადგომლობების არ არსებობის გამო, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ზემოაღნიშნული დღის წესრიგი

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 44, თსუ X კორპუსი ტურიზმის საერთაშორისო სკოლის შენობა.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა დიმიტრი გეგენავამ.
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 8 მაისს. ვიზიტამდე, 7 მაისს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დისტანციურად შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (დავით სიხარულიძე, ანა ბოკუჩავა, ლევან გოგოლაძე და ნიკოლოზ ბაგაური). თითოეული სტანდარტის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმი, კერძოდ სწავლის შედეგებში მკაფიოდ განისაზღვროს მენეჯმენტის სფეროს კომპეტენციები და ასევე კავშირი სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის), შემუშავდეს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები;
2. რეკომენდირებულია გაუმჯობესდეს პროგრამის შინაარსი პროგრამის სტრუქტურაში მენეჯმენტის სფეროს სასწავლო კურსების დამატებით;
3. რეკომენდირებულია შემდეგი სასწავლო კურსებისათვის ,,ბიოეკონომიკა", ,,მწვანე ეკონომიკა, "მთის ორგანული მინდვრად საკვები წარმოება", ,,ორგანული რძე და რძის პროდუქტების წარმოების მენეჯმენტი", ,,მთის ორგანული მეცხოველეობის საფუძვლების", ,,ცხოველთა გენეტიკა", „ცხოველთა მომშენებლობის", „ცხოველთა კვების" „ორგანული ხორცი და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგიის" განისაზღვროს წინაპირობები;
4. რეკომენდირებულია გაიზარდოს თავისუფალი კომპონენტების და არჩევითი დისციპლინების მოცულობა.
5. რეკომენდირებულია გაძლიერდეს დამსაქმებლების ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში და გაფართოვდეს პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის არეალი;
6. რეკომენდირებულია საკონსულტაციო საათების გამოყენებით, უნივერსიტეტის მხრიდან მოხდეს სტუდენტთა ინფორმირება პროცედურული საკითხების შესახებ, აქ იგულისხმება სააპელაციო პროცედურების, როგორც სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პრეზენტირება, რადგან , როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, მიღებული შეფასების გადამოწმება ამაღლებს შეფასების სანდოობის დონეს რაც, ცხადია, დადებითად მოქმედებს სწავლის ხარისხისა და შედეგის გაუმჯობესებაზე.
7. რეკომენდირებულია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შემუშავება.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლებმა, სხდომაზე და მათ მიერ წარმოდგენილ პოზიციაში ძირითადად აღნიშნეს, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგარარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე შემუშავებული ,,მთიანი რეგიონებისორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით 2020 წლის 08 მაისს განხორციელებული ექსპერტთა ვიზიტისცშედეგად შემუშავებულ დასკვნის პროექტში ასახული რეკომენდაციები და პროგრამის განვითარების რჩევები ერთმნიშვნელოვნად საჭირო და სასარგებლოა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. აგრეთვე, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული „პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობის" მაჩვენებლები (I, IV და Vსტანდარტები - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", II და III სტანდარტები - „მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან") არის ობიექტური და სრულად მისაღები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერულისისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე სპეციალისტების გუნდმა უკვე დაასრულა პროგრამაში ცვლილებების პროექტის სრული პაკეტის მომზადების სამუშაოები, რომლის დადგენილი პროცედურებით დამტკიცებისთანავე, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად გაითვალისწინებს ექსპერტთა დასკვნის პროექტში ასახულ რეკომენდაციებსა და პროგრამის განვითარების რჩევებს.
საბჭოს წევრმა მანანა კევლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან მთიან რეგიონში აგრარული დარგის სპეციალისტები თითქმის არ გვყავს და თუ რომელიმე უნივერსიტეტი მოკიდებს ხელს მთის პრობლემის გადაწყვეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას ეს დიდი მიღწევა იქნება. მიუხედავად პროგრამის დიდი მნიშვნელობისა აქვს გარკვეული ხარვეზები. მან უნივერსიტეტის წარმომდგენლებს მიმართა შეკითხვით სტუდენტებს ამ პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ აცნობებენ თუ არა, რომ მათ უნდა მთაში იმუშაონ მხოლოდ, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მთის პირობებისთვის არის შექმნილი, თუ ხდება მათი შერჩევა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით?

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მრავალ ახალგაზრდას აქვს სურვილი მიიღოს განათლება და მთაში განახორციელოს თავისი ბიზნესი, ასევე მთის მაცხოვრებელი სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს განათლების მიღების შემდეგ დაუბრუნდნენ მთას და გააგრძელონ თავისი საქმიანობა. პროგრამა მხარდაჭერილია ავსტრიელი კოლეგების მიერ და ითვალისწინებს საერთაშორისო პროექტში ჩართულობას.

მანანა კევლიშვილმა ასევე უთხრა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რომ აუცილებელი იყო პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისათვის შეესრულებინა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ:

სასწავლო კურსები ,,ცხოველთა ორგანული კვება", ,,მთის ორგანული მდელოს საკვებწარმოება" და ,,მთის ორგანული მინდვრად საკვებწარმოება" იდენტურია ერთმანეთის ასევე გამოყენებულია ერთი და იგივე ლიტერატურა, ამიტომ შესაძლებელია ამ სასწავლო კურსების გაერთიანება ერთ სასწავლო კურსად (ცხოველთა ორგანული კვება), რომლის შედეგადაც გამონთავისუფლდებოდა კრედიტები და მათ შეეძლოთ კურიკულუმში ჩაესვათ მენეჯმენტის მიმართულების სასწავლო კურსები.

გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსებში გამოყენებული ტერმინოლოგიები, მაგალითად ორგანული ფერმერი, ორგანული სელექცია, ორგანული ტყე, ორგანული მერქანი და სხვა.

შესწორდეს სასწავლო კურსების ,,საველე პრაქტიკა" და ,,სოფლის მეურნეობის მექანიზაცია" მიზანი და შესაბამისობაში მოვიდეს საკითხებთან.

პროგრამის ხელმძღვანელმა და დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა ახალია და მზად არიან გაითვალისწინონ ყველა ის რჩევა თუ რეკომენდაცია რასაც საბჭოს წევრების ან ექსპერტებისგან მიიღებენ. მზად არიან შეაერთონ წარმოდგენილი სასწავლო კურსები, ასევე გადახედონ ტერმინოლოგიას და სასწავლო კურსების მიზნებს და შედეგებს.

მანანა კევლიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ტყის განახლების პრობლემა მათი გადასაჭრელი არ არის, რადგან ფერმერული მეურნეობის სისტემების მართვა არანაირად არ გულისხმობს ტყის რესურსების მართვას, ამიტომ თუ ამ საკითხზეც იფიქრებდნენ პროგრამას უფრო წარმატებულს გახდიდა.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს პროგრამა ავსტრიელების მიერ შექმნილი პროგრამის მსგავსია და ამიტომ მათი რჩევის გათვალისწინებით იქნა ეს სასწავლო კურსი შეტანილი.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ

1. აუცილებელია პროექტების მართვის დამატება, პროქტები უნდა იყოს მორგებული პროგრამის სპეციფიკას;
2. პროგრამაში ოპერაციათა კვლევის დამატება;
3. პროგრამაში მენეჯერული(მმართველობითი) აღრიცხვის დამატება;
4. პროგრამაში ფონდების, გრანტე ბის მოძიების საკითხების დამატება;
5. პროგრამაში ბანკებიდან როგორ ავიღოთ სესსხი, როგორ ვმართოთ ფულადი ნაკადები სესხის პირობებში საკითხების დამატება;

რაზეც დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ განმარტა, რომ გარდა იმ კურსებისა, რაც ბატონმა გიორგიმ ჩამოთვალა პროგრამა საჭიროებს მენეჯმენტის კვალიფიკაციაზე გამყვან სხვა კურსებსაც. პროგრამა არ პასუხობს კვალიფიკაციის აღმწერს და არ შეესაბამება დეტალური სფეროს სვეტში კლასიფიცირებულ სწავლის სფეროს.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ აღნიშნა, რომ გარდა იმ კურსებისა, რაც ბატონმა გიორგიმ ჩამოთვალა პროგრამა საჭიროებს მენეჯმენტის კვალიფიკაციაზე გამყვან სხვა კურსებსაც. პროგრამა არ პასუხობს კვალიფიკაციის აღმწერს და არ შეესაბამება დეტალური სფეროს სვეტში კლასიფიცირებულ სწავლის სფეროს. საგანმანათლებლო პროგრამის განსაზრვრული სასწავლო კურსები განხილვის შედეგად გამოიკვეთა საბაკალავრო საფეხურის მიზნებიდან გამომდინარე კურიკულუმის სტრუქტურის გადახედვა, სასწავლო კურსებისა და მისაღწევ სწავლის შედეგებთან ლოგიკური კავშირის დადგენა. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამა უნდა

შემუშავდეს დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, ამ სფეროს განვითარების ტენდენციების, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. რაც ამ შემთხვევაში არ გვაქვს.
საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა დაუსვა შემდეგი კითხვა დაწესებულების წარმომადგენლებს, პროგრამა ახალია რა მოლოდინები აქვთ რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებენ, არის თუ არა შესაბამისი მოთხოვნა კადრებზე იმ დამსაქმებლების მხრიდან რომელთა ჩამონათვალიც გვხვდება საგანმანათლებლო პროგრამაში?
დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ პროგრამაზე დაახლოებით 20 სტუდენტის მიღება იგეგმება ყოველწლიურად, რაც კავშირშია დამსაქმებლების მოთხოვნასთან, ასევე გასათვალისწინებელია, რომ პროგრამაზე სწავლა უფასო იქნება და პროგრამის კურსდათავრებულებზე მოთხოვნა ფიქსირდება მთიანი მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა მხრიდანაც.
საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა ასევედასვა შემდეგი კითხვა, რომ განემარტათ განმარტოთ 3.1 სტანდარტთან მიმართებით რა გახდა რეკომენდაციის გაწერის საფუძველი, ასევე დაეზუსტებინათ რეკომენდაციის შინაარსი.
ექსპერტმა უპასუხა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის გაწერის საფუძველი გახდა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუ, სადაც დაფიქსირდა საკონსულტაციო მომსახურების გააქტიურების სურვილი, შესაბამისად რეკომენდირებულია საკონსულტაციო საათების გამოყენებით, უნივერსიტეტის მხრიდან მოხდეს სტუდენტთა ინფორმირება პროცედურული საკითხების შესახებ, მათ შორის სააპელაციო პროცედურების შესახებ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, 1-ლი სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
ა) რეკომენდირებულია გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმი, კერძოდ სწავლის შედეგებში მკაფიოდ განისაზღვროს მენეჯმენტის სფეროს კომპეტენციები და ასევე კავშირი სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის), შემუშავდეს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები;
ბ) რეკომენდირებულია გაუმჯობესდეს პროგრამის შინაარსი პროგრამის სტრუქტურაში მენეჯმენტის სფეროს სასწავლო კურსების დამატებით;

გ) რეკომენდირებულია შემდეგი სასწავლო კურსებისათვის ,,ბიოეკონომიკა“, ,,მწვანე ეკონომიკა, ”მთის ორგანული მინდვრად საკვები წარმოება“, ,,ორგანული რძე და რძის პროდუქტების წარმოების მენეჯმენტი“, ,,მთის ორგანული მეცხოველეობის საფუძვლების“, ,,ცხოველთა გენეტიკა“, „ცხოველთა მომშენებლობის“, „ცხოველთა კვების“ „ორგანული ხორცი და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგიის“ განისაზღვროს წინაპირობები;
დ) რეკომენდირებულია გაიზარდოს თავისუფალი კომპონენტების და არჩევითი დისციპლინების მოცულობა.
ე) რეკომენდირებულია გაძლიერდეს დამსაქმებლების ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში და გაფართოვდეს პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის არეალი;
ვ) რეკომენდირებულია საკონსულტაციო საათების გამოყენებით, უნივერსიტეტის მხრიდან მოხდეს სტუდენტთა ინფორმირება პროცედურული საკითხების შესახებ, აქ იგულისხმება სააპელაციო პროცედურების, როგორც სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პრეზენტირება, რადგან , როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, მიღებული შეფასების გადამოწმება ამაღლებს შეფასების სანდოობის დონეს რაც, ცხადია, დადებითად მოქმედებს სწავლის ხარისხისა და შედეგის გაუმჯობესებაზე.
ზ) რეკომენდირებულია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შემუშავება.
თ) აუცილებელია პროგრამაში პროექტების მართვის დამატება, პროქტები უნდა იყოს მორგებული პროგრამის სპეციფიკას, ასევე ოპერაციათა კვლევის, მენეჯერული (მმართველობითი) აღრიცხვის, ფონდების, გრანტების მოძიების საკითხების დამატება. ასევე, რეკომენდირებულია საკითხების დამატება, რომლებიც შეეხება ბანკებიდან როგორ აიღება სესხი, როგორ იმართება ფულადი ნაკადები სესხის პირობებში;
ი) სასწავლო კურსები ,,ცხოველთა ორგანული კვება“, ,,მთის ორგანული მდელოს საკვებწარმოება“ და ,,მთის ორგანული მინდვრად საკვებწარმოება“ იდენტურია ერთმანეთის ასევე გამოყენებულია ერთი და იგივე ლიტერატურა, ამიტომ შესაძლებელია ამ სასწავლო კურსების გაერთიანება ერთ სასწავლო კურსად (ცხოველთა ორგანული კვება), რომლის შედეგადაც გამონთავისუფლდებოდა კრედიტები და მათ შეეძლოთ კურიკულუმში ჩაესვათ მენეჯმენტის მიმართულების სასწავლო კურსები.
კ) გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსებში გამოყენებული ტერმინოლოგიები, მაგალითად: ორგანული ფერმერი, ორგანული სელექცია, ორგანული ტყე, ორგანული მერქანი და სხვა.
ლ) შესწორდეს სასწავლო კურსების ,,საველე პრაქტიკა“ და ,,სოფლის მეურნეობის მექანიზაცია“ მიზანი და შესაბამისობაში მოვიდეს საკითხებთან.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტე ბის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ერთი წლის ვადით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია.

2. მეორე საკითხი: შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0177, უნივერსიტეტის ქ. N2
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ქვეყანაში კორონავირუსის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბაკალავრო პროგრამის „ფსიქოლოგია“ შეფასება 2020 წლის 7 მაისს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით განხორციელდა.
ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, საბაკალავრო საფეხურის მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა. აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ

გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია სავალდებულო კურსების: კვლევის მეთოდების, სოციალური ფსიქოლოგიის, განვითარების ფსიქოლოგიის, პიროვნების ფსიქოლოგიისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის მოცულობის გაზრდა (5 კრედიტის ნაცვლად 10 კრედიტი).
დაწესებულების წარმომადგენლებმა, სხდომაზე და მათ მიერ წარმოდგენილ პოზიციაში აღნიშნეს, რომ ძირითადად ეთანხმებიან წარმოდგენილ დასკვნას.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა დასვა შემდეგი ორი კითხვა:
1. მისანიჭებელი კვალიფიკაციის (ფსიქოლოგიის ბაკალავრი) ინგლისურენოვან თარგმანთან დაკავშირებით. კერძოდ როგორია მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება ინგლისურ ენაზე Bachelor in Psychology თუ Bachelor of Psychology. რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აუცილებლად გადახედავენ და მოიყვანენ შესაბამისობაში სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან.
2. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ცოდნას და გაცნობიერებას და უნარებს. რას გეგმავენ პროგრამის განვითარების კუთხით, რომ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის შედეგად სტუდენტმა შეიძინოს ისეთი მნიშვნელოვანი კომპეტენცია, როგორიცაა პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად იფიქრებენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დაგეგმავენ და განახორციელებენ პროგრამის განვითარებას ამ კუთხით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:

რეკომენდირებულია სავალდებულო კურსების: კვლევის მეთოდების, სოციალური ფსიქოლოგიის, განვითარების ფსიქოლოგიის, პიროვნების ფსიქოლოგიისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის მოცულობის გაზრდა.

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტე ბის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ დატოვა სხდომა.

3. მესამე საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ქუთაისი, 4600, წერეთლის ქ. N13
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ესპერტთა ჯგუფმა პროგრამასთან დაკავშრებით წარმოადგინა შემდეგი რეკომენდაციები:
1) უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს;

2) განხორციელდეს შრომის ბაზრის შედარებით დეტალური ანალიზი ბაზარზე არსებულ მოთხოვნებსა და გამოწვევებზე და დამსაქმებლების აქტიურად ჩართვა პროგრამის შემუშავების პროცესში;
3) რეკომენდირებულია, VIII შედეგად განსაზღვრული სწავლის შედეგის იმ ნაწილის კორექტირება, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ და უცხო ენაზე ინფორმაციის მოძიებასა და გაანალიზებას. მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს უცხო ენა და მის ნაცვლად განისაზღვროს ინგლისური ენა, ვინაიდან, პროგრამა აქცენტირებულია ინგლისური ენისა და დარგობრივი ინგლისურის შესწავლაზე და სტუდენტებს საკუთარი არჩევანით სხვა ენის შესწავლის შესაძლებლობა არ აქვთ, დასახელებული შედეგის მიღწევა მხოლოდ ინგლისურ ენაზე არსებული ინფორმაციის მოძიებასა და გაანალიზებაზე შეიძლება იყოს ორიენტირებული;
4) რეკომენდირებულია, სამართლის პროგრამისათვის, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრული იყოს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და შეფასების პროცესი;
5) სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, მიზანშეწონილია, უფრო მეტად მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს. უნივერსიტეტმა, მიზანშეწონილია, დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ისე მოარგოს ინტერნაციონალიზაციის პროცესს, რომ სტუდენტებს თანაბრად ჰქონდეთ სამართლის სხვადასხვა მიმართულებით თანამედროვე თეორიისა და შესაბამისი პრაქტიკის შესწავლის შესაძლებლობა. მეთოდოლოგიამ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო/ადგილობრივ საგრანტო პროექტებში სტუდენტების მაღალი ჩართულობა, რომ უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, ოპტიმალურად იყოს გამოყენებული;
6) სამართლის საბაკალავრო პროგრამაში სასწავლო კურსებს, მიზანშეწონილია, ისეთი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ხელმძღვანელობდეს, რომლებსაც შესაბამის ან დაკავშირებულ დისციპლინაში აქვთ სათანადო კვლევა, გამოქვეყნებული ნაშრომები ან პროფესიული გამოცდილება;
7) პროგრამის განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსები მკაფიოდ იყოს სპეციალიზირებული ბაკალავრიატის საფეხურის მიზნებისათვის, მაგისტრატურის საფეხურისთვის სასწავლო კურსების დუბლირების თავიდან აცილების, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის უზრუნველყოფის მიზნით. მიზანშეწონილია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსი, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) დონეზე, რომ არ შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) ელემენტებს, საგნების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით;
8) მიზანშეწონილია,პრაქტიკული კომპონენტების სტრუქტურირება მოხდეს ისე, რომ იგი არ მოიცავდეს ისეთი აქტიური პრაქტიკის კომპონენტებს, რომლებიც უნდა უზრუნველყოს სამართლის სამაგისტრო საფეხურმა (კერძოდ, თანმიმდევრული გადასვლა პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკაზე);
9) სამართლის საბაკალავრო პროგრამაში მოცემული სასწავლოკურსის სწავლის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა, მიზანშეწონილია, სრულად შეესაბამებოდეს ამ კურსის სწავლის შედეგებს. ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი საჭიროებს დახვეწას;
10) პროგრამის ფარგლებში, მიზანშეწონილია, სხვადასხვა მიმართულებით გამოიყენებოდეს თანამედროვე ლიტერატურა;
11) უნივერსიტეტი მუშაობს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე - გაფორმებულია მემორანდუმი სხვადასხვა ორგანიზაციასთან. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ დამსაქმებელი თანამშრომლობს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თუმცა, მიზანშეწონილია, ეს თანამშრომლობა იყოს ეფექტიანი;

12) მიზანშეწონილია, ეფექტური, ობიექტური და გამჭვირვალე სისტემა, სურვილის შემთხვევაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების უზრუნველყოფისათვის. უნდა მოხდეს შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად;
13) მიზანშეწონილია, სასწავლო პროცედურის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, სტუდენტთათვის უკუკავშირის მიცემის მექანიზმის დახვეწა სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად, ასევე, სტუდენტების ძლიერი და სუსტი მხარეების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
14) მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის სამართლის პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, რის თაობაზეც უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტაცია;
15) სილაბუსის შინაარსი და სავალდებულო ან/და დამატებითი ლიტერატურა ერთმანეთთან კავშირში უნდა იმყოფებოდეს. ლიტერატურა რეალურად, არსებითად უნდა იყოს სასარგებლო სილაბუსით განსაზღვრული ცოდნის მისაღებად. არ არის აუცილებელი ლიტერატურის ნაწილი დაიტვირთოს და რაოდენობა მიჩნეულ იქნეს ხარისხად;
16) სილაბუსის შინაარსი და სათაური ურთიერთშესაბამისი უნდა იყოს;
17) სასწავლო საგნების სავალდებულო კურსებად განსაზღვრა პირდაპირ უნდა ეხმიანებოდეს სამართლის დარგობრივ მახასიათებლებს (სწავლის შედეგები; პროფესიაში შესვლა). აგრეთვე, სტუდენტს არ უნდა გაუჩნდეს შეგრძნება, რომ ის იძულებულია გაიაროს ერთმანეთის მსგავსი სავალდებულო საგნები;
18) საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებები სრულად შესაბამისი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან;
19) ნებისმიერი საგნის სილაბუსი უნდა ამჟღავნდებდეს, რომ აკადემიური პერსონალი თავის სფეროში იცნობს მიღწევას, პროგრესს. განსაკუთრებით საქართველოს სამართლის დინამიურობის გათვალისწინებით (რაც განპირობებულია დემოკრატიზაციის პროცესით, ასევე, ასოცირების შეთანხმების შესრულების კონტექსტით) ხშირად იცვლება კანონები, ხდება მოდიფიცირება ინსტიტუტების, მიდგომების, ადგილი აქვს ახალ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რაც უახლესი ლიტერატურის სახით უნდა აისახოს.
20) მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შეფასება და გაანალიზება (სხვა სამსხურებთან (არა მხოლოდ უნივერსიტეტებში) შეთავსების კონტექსტშიც). ასეთი შეფასება და გაანალიზება უნდა ემსახურებოდეს რეალური დატვირთვის განსაზღვრას ან იმის მტკიცებას, რომ პირი მუშაობს უნივერსიტეტში, სადაც უზრუნველყოფილია სრული დატვირთვის (სასწავლო, ადმინისტრაციული, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის) ღირსეული ანაზღაურება (ისე, რომ აკადემიურ პერსონალს არ სჭირდებოდეს სხვა მრავლობითი შეთავსებითი სამუშაოები). ამ რეკომენდაციის მიზანია - ბალანსირება უნივერსიტეტის ინტერესებსა და დასაქმებულის ინტერესებს შორის.
21) რამდენადაც აკადემიური პერსონალის განვითარება პროგრამის ხარისხის და დინამიკაში გაძლიერების გარანტორია, უმნიშვნელოვანესია აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა და მხარდაჭერა უშუალოდ უნვიერსიტეტის მხრიდან, რაშიც იგულისხმება დახმარება და წახალისება შემდეგი მიმართულებით:
- საერთაშორისო (უცხოენოვან ან ორენოვან) შესაფერის სამართლის სამეცნიერო ჟურნალებში სტატიათა გამოქვეყნება.
- სახელმძღვანელოების, ჰენდაუთების რედაქტირება და გამოცემა;
- ქვეყნის გარეთ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა;
- შიდა საუნივერსიტეტო კვლევებში ჩართულობის უზრუნველყოფა (შესაბამისი დაფინანსებით).
- საერთაშორისო კვლევით და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის უზრუნველყოფა ან ამისთვის სათანადო პირობების შექმნა (შესაბამისი ანაზღაურებით).
- გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა (Erasmus+, სხვა).
- და სხვა.

22) პერსონალის განვითარებისათვის არსებითად მნიშვნელოვანია სათანადო ბიუჯეტი, დაფინანსების წყაროები, განვითარების სამუშაო თუ სხვა პირობების შექმნა-გაძლიერება.
23) საერთაშორისო ბაზების გამოყენების სპეციალური ტრენინგების ან მუდმივი საინფორმაციო პოლიტიკის უზრუნველყოფა პერსონალისათვის, სტუდენტებისათვის, რომელთა ცოდნისა და განვითარებისათვის ნაყიდია ეს ბაზები. არ არის აუცილებელი უნივერსიტეტმა გასწიოს დიდი (არათანაზომიერი) ხარჯები და მხოლოდ აკრედიტაციის მიზნებისთვის შეისყიდოს მეტი და მეტი იურიდიული საბიბლიოთეკო ბაზები. მთავარია, შექმნას უკვე შესყიდული, ხელთ არსებული ბაზების რეალური გამოყენების შესაძლებლობები და ეტაპობრივად განავითაროს. პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს (პოზიტიური ზეგავლენით) ამ ბაზების აუცილებლად გამოყენების ვითარებას როგორც სტუდენტების მხრიდან, ასევე, აკადემიური პერსონალის მხრიდან (სილაბუსში მითითებული საშინაო დავალებების, რეფერატების, საბაკალავრო ნაშრომების შესრულების და სხვა აქტივოებების კონტექსტში).
24) მატერიალურ-ტექნიკური, ლოჯისტიკური ბაზა საჭიროებს გაძლიერებას, გაზრდას და ბიუჯეტშიც სათანადოდ ასახვას.
25) სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰქონდეს დამაჯერებელი, განჭვრეტადი, რაციონალური, ქმედითი, რეალისტური ბიუჯეტი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა იმ ღონისძიების განხორციელებას, რაც კი ასახულია საუნივერსიტეტო აქტებში, სილაბუსებში, ხელშეკრულების ნიმუშებში, დანიშვნის ბრძანებებში, პროგრამაში და ა.შ.
26) საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალე უნდა იყოს პერსონალის შრომითი უფლებების დაცვის პოლიტიკის ფარგლებში.
27) აფელირების პოლიტიკა არ უნდა იყოს მხოლოდ ვალდებულების პოლიტიკა აკადემიური პერსონალისათვის, ის უნდა იყოს მათი დაცვის, ღირსეული შრომისა და ყოფის/კეთილდღეობის განმსაზღვრელი. სხვაგვარად არის საფრთხე, აფელირების ინსტიტუტი, იქცეს არასახარბიელო პრაქტიკის ჩამოყალიბების ინსტრუმენტად.
28) მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის რეალური ასახვა იმისათვის,რომ ნათლად იყოს წარმოჩენილი რეგულაციებით დადგენილი ციკლის პრაქტიკული შესრულება მიზანშეწონილია, თვითშეფასების ანგარიშში აისახოს პროგრამის გარე ხარისხის შედეგები სრულყოფილად, მათ შორის ამ შეფასების შედეგები და მათი გათვალისწინება პროგრამის შემუშავებისა თუ ცვლილების პროცესში;
29) სამართლის პროგრამის განვითარებისათვისათვის მიზანშეწონილია, მისი უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან დადარება, დადარების შედეგების ანალიზი და, აუცილებლობის შემთხვევაში, შედეგების გამოყენება. აღნიშნული ანალიზი აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი არ ყოფილა;
30) მიზანშეწონილია, წარმოდგენილი იქნეს ურთიერთდასწრების პოლიტიკით განსაზღვრული პროცესის ამსახველი დოკუმენტი შესრულებული ოქმისა და ანალიზისი შედეგების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ პროგრამასთან დაკავშირებით ძირითადად ხაზი გაუსვა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას და აღნიშნა, რომ უმრავლეს შემთხვევაში მათ არ უდასტურდებათ კონკრეტული საგნების წაკითხვისთვის შესაბამისი კვალიფიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ კი ძირითადად ყურადღება გაამახვილა სილაბუსებში არსებულ ხარვეზებზე და ასევე, სილაბუსებში გამოკვეთილ პლაგიატის ნიშნებზე. ასევე, განმარტა, რომ -

1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში - მოძველებულია ლიტერატურა, არაა მითითებული თანამედროვე და აქტუალური, რელევანტური წყაროები, სრულიად არ

ითვალისწინებს სასამართლოს პრაქტიკას, ეხება უფლების დაცვის საშუალებათა ძალიან მცირე ნაწილს, ძირითადად ევროსასამართლოს, არაა განხილული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სხვა ასპექტები;

2. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი - რამდენიმე თემა ეხება ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებას, რომლის უდიდესი ნაწილი არა ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის, არამედ ადმინისტრაციული სამართალწარმოების თემატიკაა, ერთ სალექციო თემაშია განხილული ადმინისტრაციული წარმოება და მისი ყველა სახე, რითაც შეუძლებელია სილაბუსის შინაარსი სილაბუსით გათვალისწინებულ შედეგებზე გადიოდეს;

3. იმიტირებული პროცესი ადამიანის უფლებებში - სილაბუსში მოცემული თემატიკის ნაწილი არ შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს, ორიენტირებულია მთლიანად ევროსასამართლოზე, არაა განხილული ადამიანის უფლებათა დაცვის ქართული მექანიზმები, არაა ორიენტირებული პრაქტიკასა და მის გამოყენებაზე;

4. შესავალი სამართალმცოდნეობაში - არაა განხილული სამართლის კლასიკური და თანამედროვე მიმდინარეობები, სახეები, თანამედროვე სამართლის ძირითადი სკოლები, სრულიად იგნორირებულია სამართლიანობის იდეა, სამართლისა და სამართლიანობის ურთიერთმიმართების საკითხები საფუძვლების დონეზე, რასაც შემდეგ არცერთ სხვა საგანში ხვდება სტუდენტი;

5. იურიდიულ პროფესიათა ეთიკა - ლიტერატურა მოძველებულია, წყაროთა ნაწილი კი საერთოდ არ ფარავს იმ თემატიკას, რომელზეც მიეთითება, არაა გათვალისწინებული ეთიკის კომისიათა და დისციპლინური პალატის ერთგვაროვანი პრაქტიკა, საკითხების დიდი ნაწილი ჩაშლილია უწყებრივად, როცა მათი ნაწილი სრულიად არ ჯდება იურიდიულ პროფესიაში, მათზე ყურადღების გამახვილებით დაკნინებულია უშუალოდ იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები.

6. სამართლებრივი წერა - არაა გათვალისწინებული საკონსტიტუციო სამართალწარმოების დოკუმენტები, არაა გამიჯნული სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების აქტების ტექნიკა, სილაბუსი არ მოიცავს სამართლებრივი აქტების, განმარტებითი ბარათების შექმნისა და ექსპერტიზის საკითხებს, უგულებელყოფილია ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტები.

7. კონსტიტუციური სამართალი - სახელმწიფო მოწყობა - ლიტერატურის ნაწილი არარელევანტურია და არ ასახავს 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის შედეგებს, არ ისწავლება სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი, სახელმწიფო თავდაცვა და უსაფრთხოება, პროკურატურის საკონსტიტუციო საფუძვლები, სახალხო დამცველი, როგორც საკონსტიტუციო ორგანო. ამ საკითხების არგათვალისწინებით საგნის შინაარსი ვერ გადის სილაბუსის შედეგებზე.

8. კონსტიტუციური სამართალი - ადამიანის უფლებები - არ ითვალისწინებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, არაა განხილული მკაცრი და რაციონალური დიფერენციაციის ტესტები, აქტივობის ნაწილში კაზუსის შეფასების კრიტერიუმები არ ეფუძნება ექსკლუზიურად ადამიანის ძირითადი უფლებების სფეროში ევროსასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის საკონსტიტუციოსამართლებრივი გამართლების შემოწმების კრიტერიუმებს;

9. კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კონსტიტუციურ სამართალში - სილაბუსის ძირითადი ნაწილი არის პლაგიატი და იმეორებს დიმიტრი გეგენავას მიერ 2017 წელს თსუ-თვის შექმნილი სილაბუსის სტრუქტურას, სიტყვათწყობასა და შინაარსს;

10. ბავშვის უფლებების სამართალი - სავალდებულო ლიტერატურაში მხოლოდ ნორმატიული აქტებია, არაა აკადემიური ლიტერატურა, რომელიც, მართალია, მწირად, თუმცა ქართულ ენაზე ნამდვილად მოიპოვება, გარდა ამისა, უამრავი უცხოენოვანი მასალა არსებობს, რომლის მითითებაც შესაბამისი წინაპირობის დაცვით, სრულიად შესაძლებელია. არაა გათვალისწინებული სასამართლო პრაქტიკა.

11. დემოკრატია და მოქალაქეობა - ნაწილობრივ იმეორებს კონსტიტუციური სამართალი - სახელმწიფო მოწყობა და კონსტიტუციური სამართალი - ადამიანის უფლებები - საგნების შინაარსს, მათ შორის, გადაფარვაა ლიტერატურის ნაწილშიც;
12. რელიგიის ისტორია - საგნის სახელი და შინაარსი არ შეესაბამება ერთმანეთს. სილაბუსი უფრო მსოფლიო რელიგიებზე, რელიგიათმცოდნეობის ზოგად შესავალზე აკეთებს აქცენტს; მითითებული ლიტერატურა არარელევანტური და მოძველებულია; თემატიკების განაწილება არარაციონალურია, რელიგიებს არა მათი შინაარსისა და მოცულობის მიხედვით ეთმობა დრო და ლექციები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, მე-2 და მე-4 სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.“

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
1) უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს;
2) განხორციელდეს შრომის ბაზრის შედარებით დეტალური ანალიზი ბაზარზე არსებულ მოთხოვნებსა და გამოწვევებზე და დამსაქმებლების აქტიურად ჩართვა პროგრამის შემუშავების პროცესში;
3) რეკომენდირებულია, VIII შედეგად განსაზღვრული სწავლის შედეგის იმ ნაწილის კორექტირება, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ და უცხო ენაზე ინფორმაციის მოძიებასა და გაანალიზებას. მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს უცხო ენა და მის ნაცვლად განისაზღვროს ინგლისური ენა, ვინაიდან, პროგრამა აქცენტირებულია ინგლისური ენისა და დარგობრივი ინგლისურის შესწავლაზე და სტუდენტებს საკუთარი არჩევანით სხვა ენის შესწავლის შესაძლებლობა არ აქვთ, დასახელებული შედეგის მიღწევა მხოლოდ ინგლისურ ენაზე არსებული ინფორმაციის მოძიებასა და გაანალიზებაზე შეიძლება იყოს ორიენტირებული;
4) რეკომენდირებულია, სამართლის პროგრამისათვის, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრული იყოს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და შეფასების პროცესი;
5) სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, მიზანშეწონილია, უფრო მეტად მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს. უნივერსიტეტმა, მიზანშეწონილია, დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ისე მოარგოს ინტერნაციონალიზაციის პროცესს, რომ სტუდენტებს თანაბრად ჰქონდეთ სამართლის სხვადასხვა მიმართულებით თანამედროვე თეორიისა და შესაბამისი პრაქტიკის შესწავლის შესაძლებლობა. მეთოდოლოგიამ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო/ადგილობრივ საგრანტო

პროექტებში სტუდენტების მაღალი ჩართულობა, რომ უნივერსიტეტის შესაძლებლობები, ძლიერი მხარეები, ოპტიმალურად იყოს გამოყენებული;
6) სამართლის საბაკალავრო პროგრამაში სასწავლო კურსებს, მიზანშეწონილია, ისეთი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ხელმძღვანელობდეს, რომლებსაც შესაბამის ან დაკავშირებულ დისციპლინაში აქვთ სათანადო კვლევა, გამოქვეყნებული ნაშრომები ან პროფესიული გამოცდილება და უდასტურდებათ შესაბამისი კომპეტენცია.
7) პროგრამის განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსები მკაფიოდ იყოს სპეციალიზირებული ბაკალავრიატის საფეხურის მიზნებისათვის, მაგისტრატურის საფეხურისთვის სასწავლო კურსების დუბლირების თავიდან აცილების, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის უზრუნველყოფის მიზნით. მიზანშეწონილია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, განსაკუთრებით, პრაქტიკული კურსი, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) დონეზე, რომ არ შეიცავდეს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) ელემენტებს, საგნების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით;
8) მიზანშეწონილია,პრაქტიკული კომპონენტების სტრუქტურირება მოხდეს ისე, რომ იგი არ მოიცავდეს ისეთი აქტიური პრაქტიკის კომპონენტებს, რომლებიც უნდა უზრუნველყოს სამართლის სამაგისტრო საფეხურმა (კერძოდ, თანმიმდევრული გადასვლა პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკაზე);
9) სამართლის საბაკალავრო პროგრამაში მოცემული სასწავლოკურსის სწავლის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა, მიზანშეწონილია, სრულად შეესაბამებოდეს ამ კურსის სწავლის შედეგებს. ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი საჭიროებს დახვეწას;
10) პროგრამის ფარგლებში, მიზანშეწონილია, სხვადასხვა მიმართულებით გამოიყენებოდეს თანამედროვე ლიტერატურა;
11) უნივერსიტეტი მუშაობს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე - გაფორმებულია მემორანდუმი სხვადასხვა ორგანიზაციასთან. მათ შორის, ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ დამსაქმებელი თანამშრომლობს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თუმცა, მიზანშეწონილია, ეს თანამშრომლობა იყოს ეფექტიანი;
12) მიზანშეწონილია, ეფექტური, ობიექტური და გამჭვირვალე სისტემა, სურვილის შემთხვევაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების უზრუნველყოფისათვის. უნდა მოხდეს შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად;
13) მიზანშეწონილია, სასწავლო პროცედურის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, სტუდენტთათვის უკუკავშირის მიცემის მექანიზმის დახვეწა სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად, ასევე, სტუდენტების ძლიერი და სუსტი მხარეების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
14) მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის სამართლის პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, რის თაობაზეც უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტაცია;
15) სილაბუსის შინაარსი და სავალდებულო ან/და დამატებითი ლიტერატურა ერთმანეთთან კავშირში უნდა იმყოფებოდეს. ლიტერატურა რეალურად, არსებითად უნდა იყოს სასარგებლო სილაბუსით განსაზღვრული ცოდნის მისაღებად. არ არის აუცილებელი ლიტერატურის ნაწილი დაიტვირთოს და რაოდენობა მიჩნეულ იქნეს ხარისხად;
16) სილაბუსის შინაარსი და სათაური ურთიერთშესაბამისი უნდა იყოს;
17) სასწავლო საგნების სავალდებულო კურსებად განსაზღვრა პირდაპირ უნდა ეხმიანებოდეს სამართლის დარგობრივ მახასიათებლებს (სწავლის შედეგები; პროფესიაში შესვლა). აგრეთვე, სტუდენტს არ უნდა გაუჩნდეს შეგრძნება, რომ ის იძულებულია გაიაროს ერთმანეთის მსგავსი სავალდებულო საგნები;
18) საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებები სრულად შესაბამისი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან;

19) ნებისმიერი საგნის სილაბუსი უნდა ამჟღავნდებდეს, რომ აკადემიური პერსონალი თავის სფეროში იცნობს მიღწევას, პროგრესს. განსაკუთრებით საქართველოს სამართლის დინამიურობის გათვალისწინებით (რაც განპირობებულია დემოკრატიზაციის პროცესით, ასევე, ასოცირების შეთანხმების შესრულების კონტექსტით) ხშირად იცვლება კანონები, ხდება მოდიფიცირება ინსტიტუტების, მიდგომების, ადგილი აქვს ახალ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რაც უახლესი ლიტერატურის სახით უნდა აისახოს.
20) მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შეფასება და გაანალიზება (სხვა სამსხურებთან (არა მხოლოდ უნივერსიტეტებში) შეთავსების კონტექსტშიც). ასეთი შეფასება და გაანალიზება უნდა ემსახურებოდეს რეალური დატვირთვის განსაზღვრას ან იმის მტკიცებას, რომ პირი მუშაობს უნივერსიტეტში, სადაც უზრუნველყოფილია სრული დატვირთვის (სასწავლო, ადმინისტრაციული, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის) ღირსეული ანაზღაურება (ისე, რომ აკადემიურ პერსონალს არ სჭირდებოდეს სხვა მრავლობითი შეთავსებითი სამუშაოები). ამ რეკომენდაციის მიზანია - ბალანსირება უნივერსიტეტის ინტერესებსა და დასაქმებულის ინტერესებს შორის.
21) რამდენადაც აკადემიური პერსონალის განვითარება პროგრამის ხარისხის და დინამიკაში გაძლიერების გარანტორია, უმნიშვნელოვანესია აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა და მხარდაჭერა უშუალოდ უნვიერსიტეტის მხრიდან, რაშიც იგულისხმება დახმარება და წახალისება შემდეგი მიმართულებით:
- საერთაშორისო (უცხოენოვან ან ორენოვან) შესაფერის სამართლის სამეცნიერო ჟურნალებში სტატიათა გამოქვეყნება.
- სახელმძღვანელოების, ჰენდაუთების რედაქტირება და გამოცემა;
- ქვეყნის გარეთ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა;
- შიდა საუნივერსიტეტო კვლვევებში ჩართულობის უზრუნველყოფა (შესაბამისი დაფინანსებით).
- საერთაშორისო კვლევით და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის უზრუნველყოფა ან ამისთვის სათანადო პირობების შექმნა (შესაბამისი ანაზღაურებით).
- გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა (Erasmus+, სხვა).
- და სხვა.
22) პერსონალის განვითარებისათვის არსებითად მნიშვნელოვანია სათანადო ბიუჯეტი, დაფინანსების წყაროები, განვითარების სამუშაო თუ სხვა პირობების შექმნა-გაძლიერება.
23) საერთაშორისო ბაზების გამოყენების სპეციალური ტრენინგების ან მუდმივი საინფორმაციო პოლიტიკის უზრუნველყოფა პერსონალისათვის, სტუდენტებისათვის, რომელთა ცოდნისა და განვითარებისათვის ნაყიდია ეს ბაზები. არ არის აუცილებელი უნივერსიტეტმა გასწიოს დიდი (არათანაზომიერი) ხარჯები და მხოლოდ აკრედიტაციის მიზნებისთვის შეისყიდოს მეტი და მეტი იურიდიული საბიბლიოთეკო ბაზები. მთავარია, შექმნას უკვე შესყიდული, ხელთ არსებული ბაზების რეალური გამოყენების შესაძლებლობები და ეტაპობრივად განავითაროს. პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს (პოზიტიური ზეგავლენით) ამ ბაზების აუცილებლად გამოყენების ვითარებას როგორც სტუდენტების მხრიდან, ასევე, აკადემიური პერსონალის მხრიდან (სილაბუსში მითითებული საშინაო დავალებების, რეფერატების, საბაკალავრო ნაშრომების შესრულების და სხვა აქტივოებების კონტექსტში).
24) მატერიალურ-ტექნიკური, ლოჯისტიკური ბაზა საჭიროებს გაძლიერებას, გაზრდას და ბიუჯეტშიც სათანადოდ ასახვას.
25) სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰქონდეს დამაჯერებელი, განჭვრეტადი, რაციონალური, ქმედითი, რეალისტური ბიუჯეტი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა იმ ღონისძიების განხორციელებას, რაც კი ასახულია საუნივერსიტეტო აქტებში, სილაბუსებში, ხელშეკრულების ნიმუშებში, დანიშვნის ბრძანებებში, პროგრამაში და ა.შ.
26) საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალე უნდა იყოს პერსონალის შრომითი უფლებების დაცვის პოლიტიკის ფარგლებში.

27) აფელირების პოლიტიკა არ უნდა იყოს მხოლოდ ვალდებულების პოლიტიკა აკადემიური პერსონალისათვის, ის უნდა იყოს მათი დაცვის, ღირსეული შრომისა და ყოფის/კეთილდღეობის განმსაზღვრელი. სხვაგვარად არის საფრთხე, აფელირების ინსტიტუტი, იქცეს არასახარბიელო პრაქტიკის ჩამოყალიბების ინსტრუმენტად.
28) მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის რეალური ასახვა იმისათვის,რომ ნათლად იყოს წარმოჩენილი რეგულაციებით დადგენილი ციკლის პრაქტიკული შესრულება მიზანშეწონილია, თვითშეფასების ანგარიშში აისახოს პროგრამის გარე ხარისხის შედეგები სრულყოფილად, მათ შორის ამ შეფასების შედეგები და მათი გათვალისწინება პროგრამის შემუშავებისა თუ ცვლილების პროცესში;
29) სამართლის პროგრამის განვითარებისათვისათვის მიზანშეწონილია, მისი უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან დადარება, დადარების შედეგების ანალიზი და, აუცილებლობის შემთხვევაში, შედეგების გამოყენება. აღნიშნული ანალიზი აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი არ ყოფილა;
30) მიზანშეწონილია, წარმოდგენილი იქნეს ურთიერთდასწრების პოლიტიკით განსაზღვრული პროცესის ამსახველი დოკუმენტი შესრულებული ოქმისა და ანალიზისი შედეგების გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა